საქართველოს კანონი

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №45, 21.11.1997, გვ. 55) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 11^1 მუხლი:

„მუხლი 11^1. საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე ამ კანონის მოქმედების გავრცელების წესი

1. ამ კანონის 29-ე–32-ე მუხლების მოქმედება ასევე ვრცელდება საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე, გარდა იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირისა, რომელიც ეწევა კულტურულ, საგანმანათლებლო ან რელიგიურ საქმიანობას.

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომლებისა თვის კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს შესაბამისი საჯარო სამართლის იურიდიული პირის საკონკურსო-საატესტაციო კომისია, რომელიც იქმნება ამ კანონის 36^2 და 36^3 მუხლებით გათვალისწინებული წესით. საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომლებისა თვის კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვრება ამ კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ნორმატიული აქტით.“.

2. მე-18 მუხლის პირველი–მე-3 პუნქტები ამოღებულ იქნეს.

3. 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

4. 29-ე–32-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 29. თანამდებობაზე კონკურსის წესით დანიშვნა

1. პირი თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ კონკურსის შედეგად, გარდა ამ კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

მუხლი 30. თანამდებობაზე უკონკურსოდ დანიშვნა

1. თანამდებობაზე უკონკურსოდ შეიძლება დაინიშნონ:

ა) საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ თანამდებობაზე დასანიშნი ან ასარჩევი მოხელე ები;

ბ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ ასარჩევი მოხელეები;

გ) მინისტრის მოადგილეები, თანაშემწე ები, მრჩევლები;

დ) პირები, რომლებ იც დანიშნული არიან თანამდებობის პირის (ორგანოს) უფლებამოსილების ვადით;

ე) თანამდებობაზე დროებით შემცვლელები;

ვ) დროებით მოვალეობის შემსრულებლები იმ ვაკანტურ თანამდებობაზე, რომელიც კონკურსის წესით უნდა შეივსოს.

2. დროებით მოვალეობის შემსრულებელი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ვაკანტურ თანამდებობაზე, რომელიც კონკურსის წესით უნდა შეივსოს, შეიძლება დაინიშნოს არა უმეტეს 1 წლის ვადით, ხოლო კონკურსის წესით შესავსებ სხვა თანამდებობაზე – არა უმეტეს 3 თვის ვადით. იმავე თანამდებობაზე განმეორებით დროებით მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნა დაუშვებელია.

მუხლი 31. კონკურსის გამოცხადება

1. საჯარო კონკურსს მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად შესაბამისი სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება აცხადებს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით. ამასთანავე, კანდიდატს განცხადების წარსადგენად ეძლევა არანაკლებ 10-დღიანი ვადა კონკურსის გამოცხადების დღიდან. კონკურსის გამოცხადების დღედ ითვლება ბოლო გამოცხადების მომენტი.

2. კონკურსის შესახებ შეტყობინება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს მაინც:

ა) სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულების და კონკურსის წესით შესავსები თანამდებობის დასახელებები;

ბ) კანდიდატის მიმართ წაყენებული მოთხოვნები;

გ) შესასრულებელი სამუშაო;

დ) თანამდებობრივი სარგოს ოდენობა;

ე) განცხადებისა და სხვა აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადა;

ვ) შესაბამისი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მისამართი.

მუხლი 32. კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადების წარდგენა

კონკურსში მონაწილეობის ათვის განცხადების წარდგენა შეიძლება მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით. “.

5. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 36^1 – 36^4 მუხლები:

„მუხლი 36[1]. საკონკურსო-საატესტაციო კომისიები

1. მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო დაწესებულებაში იქმნება შესაბამისი მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

2. მოხელეთა კონკურსსა და ატესტირებას ახორციელებენ შემდეგი საკონკურსო-საატესტაციო კომისიები:

ა) საქართველოს პარლამენტის აპარატის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისია – პარლამენტის აპარატის მოხელეთათვის;

ბ) საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისია – საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მოხელეთათვის;

გ) საქართველოს მთავრობის კანცელარიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისია – საქართველოს მთავრობის კანცელარიის მოხელეთათვის, ხოლო საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მოხელეთათვის – შესაბამისი საკონკურსო-საატესტაციო კომისია;

დ) საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების (საქართველოს სამინისტრო, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება) მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისია – შესაბამისი აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულების მოხელეთათვის;

ე) სასამართლო დაწესებულებების (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საერთო სასამართლოები) მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისია – შესაბამისი სასამართლო დაწესებულების მოხელეთათვის;

ვ) სახელმწიფოს შესაბამისი დაწესებულების მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისია – ამ დაწესებულების მოხელეთათვის;

ზ) ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისია – ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთათვის.

3. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარეს შეუძლია პროფესიული ან ტერიტორიული პრინციპის მიხედვით შექმნას საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სპეციალიზებული შემადგენლობა.

მუხლი 36[2]. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე

1. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარეს, გარდა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის ა, შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის წარდგინებით ნიშნავს საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი.

2. დაწესებულების მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარედ, როგორც წესი, ინიშნება ამავე დაწესებულების ხელმძღვანელი ან მისი მოადგილე.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარეს ნიშნავს ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულო.

4. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სპეციალიზებული შემადგენლობი ს შექმნის შემთხვევაში მის თავმჯდომარეს ნიშნავს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე.

მუხლი 36[3]. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შემადგენლობა

1. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას განსაზღვრავს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე აუცილებელი საჭიროების გათვალისწინებით. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შემადგენლობაში მონაწილეობენ მოხელეთა პროფესიული კავშირების წევრები და დამოუკიდებელი სპეციალისტები.

2. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრთაგან ნიშნავს თავმჯდომარის მოადგილეს, რომელიც ცვლის მას არყოფნის შემთხვევაში.

3. მოხელე არ შეიძლება იყოს იმ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრი, რომელმაც უნდა მოახდინოს მისი ატესტირება.

მუხლი 36[4]. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობა

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის წესი, აგრეთვე კომისიის მოწვეულ წევრთა შრომის ანაზღაურების პირობები და ოდენობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. “.

6. 77-ე მუხლის პირველი პუნქტი ამოღებულ იქნეს.

7. 84-ე– 87-ე მუხლები ამოღებულ იქნეს.

8. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 134[2] და 134[3] მუხლები:

„მუხლი 134[2]. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ საჯარო კონკურსის გამოცხადების წესი

2014 წლის 1 იანვრამდე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილი ა მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად საჯარო კონკურსი გამოაცხადო ს აგრეთვე შესაბამის ბეჭდვით ორგანოში.

მუხლი 134[3]. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გამოცხადებულ საჯარო კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადების წარდგენის წესი

2014 წლის 1 იანვრამდე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ მოხელის ვაკანტური

თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ საჯარო კონკურსში მონაწილეობის ათვის განცხადებ ის წარდგენ ა შეიძლება აგრეთვე არაელექტრონული ფორმით, შესაბამისი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მისამართზე. “.

მუხლი 2

1. „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ იმ თანამდებობაზე, რომელიც კონკურსის წესით უნდა შეივსოს და რომელზედაც დანიშნულია დროებით მოვალეობის შემსრულებელი, პირი კონკურსის წესით უნდა დაინიშნოს 2014 წლის 1 ივლისამდე, ხოლო კონკურსის წესით შესავსებ სხვა თანამდებობაზე, რომელზედაც დანიშნულია დროებით მოვალეობის შემსრულებელი, – 2014 წლის 1 იანვრამდე, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი შემთხვევისა.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის იმ თანამდებობაზე, რომელიც კონკურსის წესით უნდა შეივსოს, კონკურსი ტარდება არაუგვიანეს 2014 წლის 31 ოქტომბრისა.

საქართველოს 2013 წლის 29 ივლისის კანონი №899 - ვებგვერდი, 12.08.2013წ.
საქართველოს 2013 წლის 13 დეკემბრის კანონი №1774 - ვებგვერდი, 28.12.2013წ.

მუხლი 3

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე- 4 პუნქტით გათვალისწინებული 30-ე მუხლის მე-2 პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდეს 2013 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს 2012 წლის 2 1 დეკემბრის კანონი №143 - ვებგვერდი, 30.12.2012წ.

საქართველოს პრეზიდენტი მ. სააკაშვილი
თბილისი,
2012 წლის 29 ივნისი.
№6611-რს

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს 2012 წლის 21 დეკემბრის კანონი №143 - ვებგვერდი, 30.12.2012წ.
2. საქართველოს 2013 წლის 29 ივლისის კანონი № 899 - ვებგვერდი, 12.08.2013წ.
3. საქართველოს 2013 წლის 13 დეკემბრის კანონი №1774 - ვებგვერდი, 28.12.2013წ.